



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია 3 თვის ვადით.

2. კომისიამ განახორციელოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტი („სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ.ა“, „ვ.გ“ და „ვ.დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად) საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ:

ა) კვიციანიძე პაატა (კომისიის თავმჯდომარე) – ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“;

ბ) ზარდიაშვილი ვანო – ფრაქცია „ქართული ოცნება“;

გ) წილოსანი ნინო – ფრაქცია „ქართული ოცნება“;

დ) გულორდავა გოგა – ფრაქცია „ქართული ოცნება“;

ე) შიოლაშვილი ირაკლი – ფრაქცია „ქართული ოცნება“;

ვ) ბერაია ირაკლი (დაჩი) – ფრაქცია „ქართული ოცნება“;

ზ) მაჭარაშვილი გურამ - ფრაქცია „ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“;

თ) გოცირიძე რომან - ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“;

ი) გოგორიშვილი ხათუნა - ფრაქცია „მოძრაობა თავისუფლებისათვის - ევროპული საქართველო“;

კ) ტულუში გიორგი - ფრაქცია „მოძრაობა თავისუფლებისათვის - ევროპული საქართველო“;

ლ) კახიძე ოთარ - ფრაქცია „ევროპული საქართველო“;

მ) ჭიაბერაშვილი ზურაბ - ფრაქცია „მოძრაობა თავისუფლებისათვის - რეგიონები“;

ნ) ლომია გიორგი - ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“;

ო) ზურაბიშვილი სალომე - დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ქუთაისი,
2017 წლის 10 მარტი.
№454 - III

ირაკლი კობახიძე